

დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N16, 29.05.2020
შეტანილია ცვლილება ბრძანება N25, 12.08.2020

შპს „კოლეჯი ხვალისდელი წარმატებისათვის“

სწავლის შინაგანაწესი

თბილისი

2020წ.

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სწავლის შინაგანაწესის რეგულირების სფერო და მიზნები

1. წინამდებარე შინაგანაწესი სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგენს კოლეჯის ძირითად დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს და არეგულირებს კოლეჯსა და სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ უფლება-მოვალეობებსა და სასწავლო პროცესს. „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“ დეტალურად გაწერილია კოლეჯის მიერ დამტკიცებული დამოუკიდებელი დოკუმენტის სახით, რომელიც ხელმისაწვდომია კოლეჯში არსებული ყველა სტუდენტისათვის.
2. კოლეჯის სტუდენტთა მიერ სწავლის შინაგანაწესის და „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტის“ დებულებების დარღვევას მოყვება ამ შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისგმებლობა.
3. ამ შინაგანაწესის მიზნებია:
 - ა) კოლეჯსა და სტუდენტს შორის სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;
 - ბ) სწავლის დისციპლინის დაცვის უზრუნველყოფა და დისციპლინის დარღვევის პრევენცია;
 - გ) სასწავლო პროცესების მოწესრიგება კოლეჯის სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - გ) სტუდენტთა უფლებებისა და თავისუფლებების ხელშეწყობა;
 - დ) სწავლების უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნა;
 - ე) ეთიკური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა.

მუხლი 2. სწავლის შინაგანაწესის მოქმედების სფერო და შესრულების კონტროლი

1. წინამდებარე შინაგანაწესი წარმოადგენს კოლეჯსა და სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებული საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილს, თუ ამავე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
2. კოლეჯსა და სტუდენტს შორის სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომლებსაც არ აწესრიგებს წინამდებარე შინაგანაწესი, რეგულირდება მხარეთა შორის გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებებით, კოლეჯის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“, საქართველოს შრომის კოდექსით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით და მოქმედი კანონმდებლობით.
3. მხარეთა მიერ საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით შესაძლებელია განისაზღვროს ამ შინაგანაწესისაგან განსხვავებული წესები, რაც არ უნდა აუარესებდეს სტუდენტის/კანონიერი წარმომადგენლის მდგომარეობას. თუ ამ შინაგანაწესის და ხელშეკრულების ნორმები მხოლოდ ავსებენ და არ ცვლიან ერთმანეთს ყველა ნორმა

ინარჩუნებს ძალას და განიხილება, როგორც ერთი ხელშეკრულება, ხოლო თუ ცვლიან - უპირატესობა ენიჭება უახლესი თარიღით გაფორმებულ ნორმას.

4. წინამდებარე შინაგანაწესი სავალდებულოა შესასრულებლად კოლეჯის ყველა სტუდენტისათვის.

5. სტუდენტის მიერ კოლეჯის წინამდებარე შინაგანაწესის შესრულების კონტროლი ხორციელდება კოლეჯის დირექტორის მიერ. ამ შინაგანაწესის ნორმების შეუსრულებლობის შემთხვევაში კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 3. კანონმდებლობასთან შესაბამისობა

1. წინამდებარე შინაგანაწესის ნორმები შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს შრომის და სამოქალაქო კოდექსების, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს კანონის „განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კანონქვემდებარე აქტების, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორის შესაბამისი ბრძანებების, შპს „კოლეჯი ხვალისინდელი წარმატებისათვის“ საგანმანათლებლო საქმიანობის დებულებებისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

II. სწავლის განაწესი

მუხლი 4. ურთიერთობის წარმოშობა

1. კოლეჯსა და სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს) შორის სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა მათ შორის საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში - ხელშეკრულება) წერილობითი ფორმით გაფორმების მომენტიდან.

2. კოლეჯსა და სტუდენტს შორის ხელშეკრულება ფორმდება, კოლეჯის შესაბამისი მიმღები კომისიის მიერ სტუდენტის ჩარიცხვის შესაძლებლობის თაობაზე მიღებული საოქმო გადაწყვეტილების მიხედვით, კოლეჯის დირექტორის მიერ შესაბამისი პირისათვის სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ გამოცემული ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

3. სტუდენტის ჩარიცხვის პირობები, წესი და პროცედურები რეგულირდება კოლეჯის მიერ დამტკიცებული და სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი დოკუმენტის - „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები“-ს და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტის პირადი საქმე

1. სტუდენტთა მიღებისას წარმოებს პირადი საქმე ცალ-ცალკე თითოეული სტუდენტისათვის, რომელიც კონფიდენციალურია და ინახება კოლეჯის რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტთან.

2. პირადი საქმის ნახვა შეუძლია: კოლეჯის დირექტორს, კოლეჯის რეესტრისა და საქმისწარმოების სპეციალისტს, თავად სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს), აგრეთვე პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე წერილობითი თანხმობის საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად სხვა უფლებამოსილ პირებს ან სუბიექტებს.

3. პირადი საქმის შემადგენელი დოკუმენტებია:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ¹) არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს განმცხადებლის სათანადო უფლებამოსილებას (დაბადების მოწმობა და/ან მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი);

ბ²) უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში - პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი და სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

გ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობით გათვალისწინებული შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ¹) შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება;

გ²) შესაბამისი განათლების ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიღების შემთხვევაში - მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი;

დ) იმ ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რა ენაზეც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამა (დამადასტურებელ დოკუმენტად შეიძლება ჩაითვალოს ატესტატი, თუ პირმა განათლება მიიღო პროგრამის განხორციელების ენაზე; საერთაშორისო დონეზე აღიარებული დოკუმენტი - სერტიფიკატი; კოლეჯის მიერ ორგანიზებული უცხო ენის გამოცდის შედეგების გათვალისწინებით გაცემული დოკუმენტი). დოკუმენტის წარდგენა არაა სავალდებულო, თუ პირი არის იმ ქვეყნის მოქალაქე, რომლის სახელმწიფო ენა ინგლისურია.

ე) ორი ფოტოსურათი ზომით 3 x 4.

ვ) სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა №IV -100/ა - ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.

ზ) სააპლიკაციო ფორმა.

თ) კოლეჯსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულება შესაბამისი დანართებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ო) კოლეჯში სწავლის პერიოდში, სტუდენტთან დაკავშირებული კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტების ასლები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტისა და სერტიფიკატის ასლები.

4. სტუდენტის შეფასებების ბარათები/მოხსენებები და საგამოცდო შედეგები ინახება კოლეჯის სწავლების/გამოცდების მართვის მენეჯერთან. ამ დოკუმენტებზე ხელი მიუწვდებათ: კოლეჯის დირექტორს; სწავლების/გამოცდების მართვის მენეჯერს; ხარისხის მართვის მენეჯერს; საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

4. გამოცდების მართვის მენეჯერი ინახავს როგორც თეორიული გამოცდების, ასევე პრაქტიკული სწავლების შეფასების დოკუმენტებს თითოეული სტუდენტისათვის არანაკლებ 5 წლის განმავლობაში. 5 წლის შემდეგ აღნიშნული დოკუმენტები ინახება ელექტრონულად, განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 6. სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. სტუდენტს უფლება აქვს:

ა) მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ) მიიღოს ადმინისტრაციული მხარდაჭერა;

გ) ჰქონდეს სწავლისათვის შესაფერი უსაფრთხო გარემო;

დ) იყოს დაცული ყოველგვარი ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფისაგან;

ე) თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხზე და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

ვ) ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტით და სხვა საშუალებებით;

ზ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის და მოდულების შესახებ;

თ) მოითხოვოს კოლეჯის მხრიდან, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი ნორმების შესაბამისად, საგამოცდო მასალის მომზადება, თეორიული და პრაქტიკული შეფასების/საგამოცდო პროცესის ორგანიზება და შესაბამისად წარმართვა.

ი) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს რეგულაციების, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებისა“ და შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების მიხედვით.

კ) მიიღოს დეტალური ინფორმაცია სასწავლო განრიგის, თეორიული და პრაქტიკული სწავლების შეფასების/გამოცდების ორგანიზებისა და წარმართვის წესების და ამ წესების დარღვევის შემდგომი ღონისძიებების შესახებ.

ლ) გამოიყენოს შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) უფლება კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად.

- მ) საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს განმეორებით შეფასებაზე გასვლის უფლება კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.
- ნ) საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად.
- ო) კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“ დადგენილი შესაბამისი პროცედურის გავლით ისარგებლოს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის შესაძლებლობით.
- პ) საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოთხოვოს კოლეჯს საკუთარი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება, რაც გათვალისწინებულია კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტით.

2. სტუდენტი ვალდებულია:

- ა) იცნობდეს კოლეჯის სწავლის შინაგანაწესს, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებს“, მოთხოვნებს და მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებასთან ერთად განუხრელად იცავდეს მათ.
- ბ) დროულად და შესაბამის საბანკო ანგარიშზე მასთან გაფორმებული ინდივიდუალური საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გადაიხადოს სწავლის საფასური, განმეორებით გამოცდაზე გასვლის საფასური (კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დოკუმენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), ასევე სხვა ფინანსური დავალიანება და კოლეჯს დაუყოვნებლივ წარუდგინოს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.
- გ) პატივი სცეს სხვა სტუდენტებისა და კოლეჯის თანამშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი.
- დ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას, ხოლო მისი ბრალეული ქმედებით დაზიანების შემთხვევაში ანაზღაუროს მიყენებული ზარალი.
- ე) გამოცდების მსვლელობისას დაიცვას თეორიული და პრაქტიკული შეფასების/გამოცდის მიმდინარეობის დადგენილი წესები.
- ვ) დაესწროს პროგრამის სრულ საბაზისო კურსს კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ შესაბამისად.
- ზ) უმიზეზოდ არ დააგვიანოს და არ გააცდინოს ლექციები/ პრაქტიკული გაკვეთილები; ასევე არ დატოვოს აუდიტორია ლექციის მიმდინარეობის დროს (გარდა განსაკუთრებული საჭიროებებისა, სათანადო ნებართვით); ლექციების გაცდენის შემთხვევაში მოახდინოს კოლეჯის ინფორმირება.
- თ) დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების წესები.
- ი) შეასრულოს მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წევრების მოთხოვნები, რაც შესაძლებელია არ არის გათვალისწინებული წინამდებარე შინაგანაწესითა და მასთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

კ) პირადი მონაცემების შეცვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

ლ) გაუფრთხილდეს კოლეჯის პრესტიჟს.

მ) დაემორჩილოს და შეასრულოს წინამდებარე შინაგანაწესი, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“ და კოლეჯში დასაქმებულ უფლებამოსილ პირთა შესაბამის მითითებები.

ნ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები.

3. პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა) „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ დოკუმენტით დადგენილი შეფასების/გამოცდის წესების დარღვევა.

ბ) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოსა და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების (მაგ. ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის) კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

გ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას კოლეჯის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

დ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;

ე) სასწავლო პროცესისათვის არადამახასიათებელი ქმედებების განხორციელება;

ვ) სასწავლო პროცესისათვის ხელის შეშლა ნებისმიერი ფორმით (მაგ. ლექციის მიმდინარეობისას მობილური ტელეფონით სარგებლობა);

ზ) ლექციაზე/პრაქტიკულ გაკვეთილზე არასაპატიო დაგვიანება, არასაპატიო გაცდენა;

თ) თეორიული და პრაქტიკული გაკვეთილის მიმდინარეობისას კოლეჯის ადმინისტრაციის თანხმობის გარეშე ვიდეო და აუდიო ჩანაწერების გაკეთება;

ი) კოლეჯის თანამშრომლის ნებართვის გარეშე კოლეჯის ტექნიკის გამოყენება;

კ) კოლეჯისათვის მატერიალური ზარალის მიყენება ან ასეთი ზარალის საფრთხის შექმნა;

პ) კოლეჯისა და სტუდენტის პატივისა და ღირსების შემლახველი ქმედება მისი ჩადენის ადგილის მიუხედავად.

მუხლი 7. კოლეჯის უფლება-მოვალეობები

1. კოლეჯს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს სტუდენტს ამ შინაგანაწესით და კოლეჯის მიერ დადგენილი და დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესებით“ გათვალისწინებული ნორმებისა და მოთხოვნების შესრულება;

ბ) მოსთხოვოს სტუდენტს ამ შინაგანაწესით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტით და მასთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების, მათ შორის ფინანსური დავალიანებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდა;

გ) მონიტორინგი გაუწიოს სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მისი ვალდებულებების შესრულებას.

დ) სტუდენტის მიერ ამ შინაგანაწესით, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტით და ინდივიდუალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის შესაბამისი ნორმები.

2. კოლეჯი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სტუდენტი ხარისხიანი პროფესიული განათლებით;

ბ) შეასრულოს და დაიცვას „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ დოკუმენტით განსაზღვრული და მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

მუხლი 8. სწავლის საფასური და გადახდის პირობები

სწავლის საფასური და გადახდის პირობები განისაზღვრება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების“ და სტუდენტთან ინდივიდუალურად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

მუხლი 9. ურთიერთობის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) კოლეჯში სწავლის დაწყებიდან ორი სასწავლო კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობა და კოლეჯისთვის წერილობით გაცდენის მიზეზის შეუტყობინებლობა;

გ) ფინანსური დავალიანება;

დ) სასწავლო პროგრამის დაწყებიდან (სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდის გათვალისწინებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში) 3 წლის განმავლობაში სწავლის შედეგების ვერ დადასტურება.

ე) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ვ) პროფესიული სტუდენტის ალოკოპოლური ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა;

ზ) სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერების გარემოებების ხელმეორედ დადგომა;

თ) სტატუსის შეჩერების ვადის გასვლა, როდესაც სტატუსშეჩერებული პირი არ ითხოვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენას;

ი) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებით;

კ) გარდაცვალებით;

ლ) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

2. სტუდენტის სტატუსი შეწყვეტასთან დაკავშირებით გამოიცემა დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი.
3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა სტუდენტს (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - მის კანონიერ წარმომადგენელს) არ ათავისუფლებს იმ ფინანსური დავალიანების დაფარვისაგან, რომელიც მას წარმოეშვა სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის გამოცემამდე.
4. ფინანსური დავალიანების დაფარვისათვის თავის არიდების შემთხვევაში კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები, მათ შორის მიმართოს სასამართლოს.
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ბრძანების გამოცემის შემდეგ, პროფესიულმა სტუდენტმა გონივრულ ვადაში, უნდა მიიღოს დაწესებულებიდან თავის პირად საქმეში არსებული დოკუმენტაცია.

მუხლი 10. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობა

1. დისციპლინურ გადაცდომად განიხილება სტუდენტის მიერ ამ შინაგანაწესით, კოლეჯის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტით“ და მასთან ინდივიდუალურად გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული მოვალეობებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა.
2. სტუდენტის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება ხორციელდება წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული სტუდენტისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის დადგენილი წესებით.
4. დაუშვებელია სტუდენტის დისციპლინური დევნა ქმედებისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სასწავლო დროისაგან თავისუფალ დროს კოლეჯის ტერიტორიის გარეთ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კოლეჯს აქვს დასაბუთებული კანონიერი ინტერესი.
5. არასრულწლოვანი სტუდენტის დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მის კანონიერ წარმომადგენელს.
6. დისციპლინური გადაცდომის გამოვლენის შემთხვევაში პირი, რომელმაც იგი გამოავლინა კოლეჯის დირექტორის სახელზე ადგენს მოხსენებით ბარათს და აღწერს ქმედებას, შესაბამისი დროის, თარიღისა და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხების მითითებით.
7. დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი, რაც ფორმდება შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
8. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ სტუდენტი ფლობს ამ შინაგანაწესით აკრძალულ ნივთს, კოლეჯი უფლებამოსილია გაატაროს შესაბამისი ზომები.
9. სტუდენტთა მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგი ზომები:
 - ა) შენიშვნა
 - ბ) საყვედური;

გ) სასტიკი საყვედური;

დ) გარიცხვა (სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა).

10. ერთი დისციპლინური გადაცდომისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას დისციპლინური პასუხისმგებლობის მხოლოდ ერთი ზომა.

11. დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ აღნიშვნა კეთდება სტუდენტის პირად საქმეში.

მუხლი 11. პროფესიული სტუდენტის წახალისება

1. სანიმუშო ყოფაქცევის, სასწავლო პროცესში მიღწეული მაღალი შედეგების, კოლეჯის სტუდენტების და მასწავლებლებისათვის მიერ ჩადენილი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ქმედებისათვის, წესდება სტუდენტის წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) სიტყვიერი შექება თანაჯგუფელების თანდასწრებით.

ბ) წარჩინებული სტუდენტების წარმატებების გამოქვეყნება კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე, და ამ გზით მათი ცნობადობის გაზრდას.

გ) წარჩინებულ სტუდენტთა დახმარება საზღვარგარეთ პრაქტიკის შესაბამის პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

დ) დასაქმება წარჩინებით კურსდამთავრებულებისთვის.

2. შესაძლებელია ერთდროულად გამოყენებულ იქნას წახალისების რამდენიმე ფორმა. სტუდენტის მიმართ წახალისების ზომების გამოყენების უფლება აქვს კოლეჯის დირექტორს, შესაბამისი თანამშრომლის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ან/და საკუთარი ინიციატივით;

მუხლი 12. სტუდენტთა სასწავლო უსაფრთხოების დაცვა და კონტროლი

1. სასწავლო პირობების დაცვაში იგულისხმება ტექნიკური, სანიტარულ-ჰიგიენური და სამართლებრივი ღონისძიებების ფართო სისტემა, რომელიც მიმართულია შრომის, სწავლის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

2. სასწავლო პირობების დაცვის დადგენილი წესების შესრულების მუდმივ კონტროლს ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრაცია.

3. კოლეჯის დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. კოლეჯის დაწესებულებაში არსებობს:

ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;

ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;

გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, გამოყოფილია სამედიცინო დახმარების ოთახი, შესაბამისი საჭირო ინვენტარით, ინახება პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მედიკამენტები.

4. სასწავლო პრობემების დაცვის წესების დარღვევისათვის, სასწავლო დაწესებულებისათვის ზიანის მიყენებისას, სტუდენტს ეკისრება კანონმდებლობის შესაბამისად, დისციპლინური, ადმინისტრაციული, მატერიალური ან საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა.

III. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. სწავლის შინაგანაწესის ნორმების გაცნობის წესი

კოლეჯი წინამდებარე შინაგანაწესს გასაცნობად განათავსებს დაწესებულების ვებ-გვერდზე.

მუხლი 14. დაკავშირებული დოკუმენტაცია

კოლეჯსა და სტუდენტს შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ: კოლეჯში სტუდენტის ჩარიცხვის, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის, სასწავლო პროცესის ორგანიზების (სტუდენტის პრაქტიკული და თეორიული შეფასების/გამოცდის წესი, შეფასებების ორგანიზება, საგამოცდო მასალის მომზადება და უსაფრთხოება, პრაქტიკული და თეორიული შეფასების/გამოცდების წარმართვა, შეფასების/შედეგების გასაჩივრების წესი), ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების და საგანმანათლებლო დოკუმენტის და სერტიფიკატის გაცემის წესს, დეტალურად განსაზღვრავს კოლეჯის მიერ დამტკიცებული ცალკე დოკუმენტი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“

მუხლი 15. სწავლის შინაგანაწესის ნორმების ძალაში შესვლა

სწავლის შინაგანაწესის ნორმები ძალაში შედის მისი გამოქვეყნებიდან (დამკიცებიდან) მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 16. სწავლის შინაგანაწესის ნორმების დამტკიცება და ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

სწავლის შინაგანაწესს ამტკიცებს დირექტორი. შინაგანაწესით დამტკიცებულ ნორმებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია დირექტორის მიერ გამოცემული შესაბამისი წერილობითი ფორმის ბრძანებით.